დანართი №1

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების, პრეტენდენტთა რეგისტრაციის დაწყების, მათი შერჩევის კრიტერიუმებისა და წარსადგენ დოკუმენტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ

1. გამოცხადდეს კონკურსი სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის შერჩევის მიზნით და დაიწყოს პრეტენდენტთა რეგისტრაცია.

2. პრეტენდენტთა რეგისტრაცია დაიწყოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2017 წლის 2 ივნისის 10:00 საათიდან (მისამართი: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №1, ოთახი №114) და დასრულდეს 2017 წლის 7 ივნისის 18:00 საათზე (6 კალენდარული დღე).

3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად პრეტენდენტების განხილვა აკადემიური საბჭოს მიერ განხორციელდეს 2 ეტაპად:

ა) დოკუმენტაციის გაცნობა - 2017 წლის 9 ივნისიდან არაუგვიანეს 12 ივნისისა;

ბ) პრეტენდენტებთან გასაუბრება - 2017 წლის 13 ივნისიდან არაუგვიანეს 16 ივნისისა.

4. აკადემიური საბჭოს მიერ პრეტენდენტების განხილვისა და კონკურსის საფუძველზე შერჩეული ერთი კანდიდატურის წარმომადგენლობითი საბჭოსათვის წარდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2017 წლის 23 ივნისი.

5. დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად პრეტენდენტისათვის შემდეგი კრიტერიუმები:

ა) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
ბ) აკადემიურ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება;
გ) მართვის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება;
დ) საზღვარგარეთის ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან თანამშრომლობის გამოცდილება;
ე) ერთ-ერთი უცხო ენის (სასურველია ინგლისურის) სრულფასოვნად ფლობა;
ვ) სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების ცოდნა;
ზ) ავტორიზაციის და აკრედიტაციის სტანდარტების ცოდნა;
თ) ასაკი 65 წლამდე.

6. დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენ დოკუმენტთა ნუსხა:

ა) განცხადება აკადემიური საბჭოს სახელზე;
ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან პასპორტის ფოტოსურათიანი გვერდის ასლი;
გ) ავტობიოგრაფია (CV);
დ) 2 ფოტოსურათი, ზომით 3 X 4-ზე;
ე) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
ვ) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
ზ) აკადემიურ თანამდებობაზე მუშაობისა და მართვის გამოცდილების ქონის დამადასტურებელი დოკუმენტები (ცნობა, შრომის წიგნაკის ასლი და სხვ.);
თ) კვალიფიკაციის ამაღლების (გადამზადების) დამადასტურებელი სერტიფიკატების, დიპლომების და სხვა ასლები;
ი) კონცეფცია და წლების მიხედვით დეტალურად გაწერილი სამოქმედო გეგმა;
კ) ნასამართლობის შესახებ ცნობა;
ლ) სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა.